სახალხო გაზეთი

№ 1139 პარასკევი, 14 მარტი 1914 წ. № 1139

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ადგილი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. **ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის:** ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლის „სახალხო გაზეთზე“

(სურათებიანი დამატებით)

წლიურ ხელის მომწერთა პრემიად მიეცემათ:
1) ქართველი მწერლები, 2) უცხოეთის მწერლები, 3) სამეცნიერო კრებული.

წლიური ფასი 8 მან. 50 კაპ.

მისამართის გამოსაცვლელი 40 კ., პრემიების გასაგზავნი 60 კ.

ნაწილ-ნაწილ ფულის გადახდა შეიძლება შემდეგ ვადებზე: პირველ აპრილამდე 5 მან., პირველ თიბათვემდე 2 მან. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

Mისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ П. Яш. 190

„სახ. გაზეთის“ კანტორისაგან:

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ამით აცნობებს 1913 წლის გორელ და მეჯვრისხეველ წლიურ ხელის მომწერთ, რომ ხსენებულ წლის გაზეთის პრემია პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ (1-ლი წიგნი) შეუძლიანთ მიიღონ 13 მარტიდან ქ. გორში **სანდრო გძელიშვილთან**.

კნ. მარიამ ოთთამის ასული და თ-დი ივანე დიმიტრის ძე ამილახვარნი თავისი ასული მართათი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქუნთრუშის შემდეგ 13 მარტს გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა პირველთა ასული, ხოლო უკანასკნელისა 16 წლის და

სალომე

განსვენებულის გვამს გამოასვენებენ ბინიდან (ჭავჭავაძის ქ. № 10) დღეს, 14 მარტს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ხოლო წირვისა და წესის აგების შემდეგ იმავე სასაფლაოს ეზოში მიაბარებენ მიწას. 183

ექ. მიხეილ დორთთეოზის ძე წინამძღვრიშვილი, გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილი, ანნა ბესარიონის ასული პაპიტაშვილი, მარიამ გიორგის ასული წინამძღვრიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პირველი ძვირფასის მეუღლის, მეორე შვილის, მესამე შვილიშვილის და უკანასკნელის რძლის

ანასტასია გრიგოლის ასულის წინამძღვრიშვილისას

პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 6½ საათზე, საკუთარ ბინაზე. სამეფო ქუჩა № 31). გამოსვენება მოხდება კვირას, 16 მარტს, დილის 10 საათზე გორის საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა სამების ეკლესიის გალავანში. 181

შავი-ზღვის მრეწველთა საბჭო

იწვევს ქუთაისში საბჭოს სასწავლებელთათვის

1) **სათადარიგო მასწავლებელს**, ჯამაგირით — 1320 მანეთი წლიურად.
2) **შავარდენთა გიმნასტიკის მასწავლებელს**, ჯამაგირით — 1200 მანეთი წლიურად.

ხსენებულ თანამდებობათა მსურველებმა საჭირო განცხადება და ყოველ-გვარი საბუთები უნდა წარადგინონ **ქუთაისში მრეწველთა საბჭოში, 1914 წლის 10 აპრილამდის.**

1112

---

23 მარტს, დილის 11 საათზე, ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში დანიშნულია

საზოგადო წლიური კრება

ხონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება 1913 წ. ანგარიშისა.
2. 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
3. შეცვლა წესდების § 71.
4. შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკში კრედიტის მომატებაზე.
5. არჩევანი ერთი გამგეობისა, ორი საბჭოსა და სამი სარევიზიო კომისიის წევრთა, მათის კანდიდატებით. 1113

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ილია ჭავჭავაძის

სრული თხზულება.

მიხეილ გედევანიშვილის

გამოცემა, ტფილისი, 1913 წელი, ფასი 10 მანეთი.

ისყიდება აგრეთვე ყოველგვარი ქართული წიგნები: ღვთისმეტყველება, სიტყვა-კაზმული მწერლობა, სიტყვიერების ისტორია, თეორია, კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, სახელმძღვანელოები, საყმაწვილო წიგნები. ქართ. სასიმღ. და საგალ. ნოტები, ჩვენი მწერლების სურათები.

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა** „606“, „914“. 1088

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინთვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 11—12 ს.

გაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქაშნიცვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ. სნეულებ. და ფსიქ.	**ჯაფარიძე ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიასეი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½ ს.
კან. და ვენერ. აგ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობისა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და შიგნების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასური. 1070

არტისტიულ საზოგად. საკონცერტო დარბაზი

ორშაბათს, 17 მარტს, 1914 წ.

რუსეთის ცნობილი ფუტურისტი

ნ. ი. კულბინი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„ფუტურიზმი“.

(ბუნდოვანი სურათებით).

ბილეთ. ფასი 3 მ.—55 კ. დასაწყისი 8-ნახევარ ს.

ბილეთები იყიდება ი. დ. კიკნაძის წიგნის მაღაზიაში (გოლოვინ. ქ.) და არტისტ. საზოგ. კლუბში შესასვლელთან დილის 12—2 და საღამ. 6—8 ს.

სამანუფაქტურო მაღაზია

მ. გ. აბაშიძისა

გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, **სამხედრო შტაბის პირდაპირ, სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი.** ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუდარებლად.

შაბათობით ნაჭრების დიდი იაფობა. 1023

„ახალი კლუბის“ წევრთა

საზოგადო კრების უმრავლესობა

დანიშნულია პარასკევს, 14 მარტს, საღამოს 8 საათზე.

დანიშნულია არჩევნები: 1) 4 მამასახლისისა, 2) 6 მათის კანდიდატისა, 3) სარევიზიო კომისიის წევრისა და 3 კანდიდატისა, 4) კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა. 1095

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1081

საკურორტოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თოლდას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმთავრესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი** ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ქირავდება სასტუმრო

ახლად გაკეთებული, [illegible] მოწყობილი 24 ოთახი, შეიძლება 27-[illegible] ორონცოვის ძეგლის მახლობლად, ნეკრასოვისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, სამი მხრიდან ტრამვაი სასტუმროს კარის წინ ჩერდება. ვაჭრობა უზრუნველ ყოფილია.

პირობების გაგება შეიძლება ფეხსაცმელთა სახელოსნოში, **ძმ. დოთენაძეებთან**, პირდაპირ, ლაზარაშვილის სახლში. 175

ქ. გ ო რ შ ი

ექიმი (დ ო ქ ტ ო რ ა ნ ტ ი) მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილით 9—12 საათამ. გორის სამკურნალ[illegible] სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1050

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.** **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი ზომიერებით.

ადრესი: Баку, магазинная, №. 50. 1084

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

ბ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ჭლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ჭლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92 1087

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი

გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. **შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ნ ა ძ ა ლ ა დ ე ვ შ ი

ექიმი ი. რ. სურგულაძე

ხუდადოვის ქ., 4.

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 4½—7 საათ. **შინაგანი და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს.** 141

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს სად. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, **ბინა გამართულია ელექტრონის სამკურნალო აპარატი** 1011

ექიმი პავლე არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დილის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი ქალიშვილი ნინო რცხილაძე,

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ქართული პრესა

სრულიად შეუფერებლის კილოთი გვეკამათება ქუთაისის „იმერეთი“. გუშინდელს მეთაურში აუწყებს მკითხველებს, რომ კავკასიის მთავრობამ შეიმუშავა ზოგიერთი გუბერნიის ახალი გამიჯვნის პროექტი, რომლის ძალით ტფილისის გუბერნიას უნდა ჩამოეჭრას ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრებიო, და დასძენს:

„სწორედ, რომ ამ ბიუროკრატიულ წრეებში შეთხზულს უცნაურ პროექტს ყველაზე უფრო თავგამოდებით გამოესარჩლა „სახალხო გაზეთი“, რომელიც ცდილობს ინტერნაციონალური სამოსლით შემოსოს ეს ბიუროკრატიული შემოქმედების ნაყოფი. ამგვარად მიხდა შეუფერებელი რამე: ინტერნაციონალისტები და ბიუროკრატია ერთსა და იმავე მიზანს ემსახურებიან“!

ყოველივე ეს სრულებით არ ეთანხმება სიმართლეს: ჩვენ არსად ერთის სიტყვით არ გამოვსარჩლებივართ მთავრობის პროექტს და კრინტი არ დაგვიძრავს მის დასაცავად.

მერე ქვემოდ კიდევ სწერს:

„მერე კიდევ, „სახალხო გაზეთის“ მოწინავე წერილის ავტორი ალბად განგებ ამცირებს ახალქალაქის მაზრის ქართველთა რიცხვს, რომ ამბობს, 1897 წ. ექვსი ათასს არ აღემატებოდაო.

რას ნიშნავს ეს „განგებ“ შემცირება რიცხვისა? ესმოდა მას დამწერს რასაც ამბობდა?

არა, ბატონო ისარო, ჩვენ განგებ არაფერს ვთხზავთ და არც ზღაპრებს და ფანტაზიებს ვემყარებით. და უნდა გახსოვდეთ, რომ შეუძლებელია კამათი, თუ მოპირდაპირის ოდნავი პატივისცემა და ნდობა არ გექნებათ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელი უუფლებო მდგომარეობა მეტისმეტად უნუგეშოა და საგაზეთო მოღვაწეებისათვის ხშირად სანატრელი ხდება ცენზორობის დრო. წინად პრესას ერთი ბატონი ჰყავდა, დღეს რამდენიმე ჰყავს; წინად ერთს სასჯელს აკმარებდენ, ეხლა კი მწერალი ერთის დანაშაულისთვის სასჯელს რომ მოიხდის, დარწმუნებული არაა, რომ იმავე საქმისთვის მეორე და მესამე სასჯელსაც არ მოახდევინებენ. მაგრამ, როგორც სჩანს, მთავრობას ეხლანდელი წესები დიდ შეღავათად მიაჩნია და ახლად შედგენილი კანონპროექტი, რომელიც უკვე მოიწონა სათათბიროს კომისიამაც, უფრო აუარესებს ბეჭდვითი საქმის მდგომარეობას.

ამის შესახებ გაზეთი „რეჩი“ სწერს:

„რუსეთის ცხოვრების სინამდვილემ დაამტკიცა, რომ საცენზურო დაწესებულებანი კვლავ არსებობენ და მათ ზურგს უმაგრებს ადმინისტრატიული გავლენა და ზედმოქმედება. ყველაფერი წინანდებურად დარჩა, მხოლოდ სახელები შეიცვალა: აღარაა საცენზურო კომიტეტი, მაგრამ არის ბეჭდვითი საქმის კომიტეტი და ცალკე ცენზორების ადგილი ბეჭდვითი საქმის ინსპექტორებმა დაიჭირეს.

ასეთის „განახლებულ“ სახით შეიტანა შინაგან საქმეთა მინისტრმა საცენზურო დაწესებულებანი ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტში. ოპოზიციამ მოითხოვა ძირითადი რეფორმა ბეჭდვითი სიტყვის მეთვალყურე ორგანოებისა, მაგრამ მისი აზრი უყურადღებოდ დასტოვეს. სათათბიროს კომისიამ რომ კანონპროექტი დაადასტურა, ეს იმას ამტკიცებს, რომ სათათბიროს არა ჰსურს, ბეჭდვით საქმეს უფლებრივი მდგომარეობა მიენიჭოს“.

რასაკვირველია, პრესა დღევანდელლივით დევნილი და შევიწროებული იქნება და ადვილად მოსალოდნელია, რომ მეტი დევნაც დაატყდეს.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

12 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. განსახილველ საქმეთა სიაში ვაჭრობის და შინაგან საქმეთა მინისტრების ახსნაა 1912 წელს ლენის ამხანაგობაში მომხდარ ამბების გამო მოხელეთა უკანონო მოქმედების შეკითხვებზე. ვაჭრობის მინისტრი სენატორ მანუხინის რევიზიის გამოკვლეულ შედეგებს ემყარება და აცხადებს, რომ მთავრობა სრულიად ეთანხმება მანუხინის მიერ ლენის მუშათა ცხოვრებისა და შრომის საშინელი პირობების აღწერას. ეს პირობები სრულიად საკმარისი იყო, რომ გამოეწვია არეულობა ლენის მუშებში, და მაშასადამე ამ არეულობას ეკონომიური ხასიათი ჰქონდაო. მინისტრი ასწერს ოლქის ინჟინრის ტულჩინსკის მოქმედებას.

ვაჭრობის მინისტრის შემდეგ ლაპარაკობს შინაგან საქმეთა მინისტრი **ზოლოტარევი**, და აცხადებს ლენის მადნები ძალიან დაშორებულია საადმინისტრაციო ცენტრიდან, რაც შეძლებას აძლევდა ადმინისტრაციას საჭირო ზედამხედველობა ჰქონოდაო. შემდეგ იგი ლაპარაკობს კაპიტან ტრეშჩენკოვის მოქმედების შესახებ.

სათათბირომ ერთხმად დაადგინა, მთავრობის განმარტების გარჩევას შეუდგეს.

თავმჯდომარის ადგილს იჭერს ვარუნ სეკრეტი. **მანკოვი** ამბობს, გაფიცვა წმინდა ეკონომიური იყო; მარტის დასაწყისს მუშათა ნაწილმა მუშაობაც დაიწყო, მაგრამ პეტერბურგიდან მიწერილობა მივიდა და გაფიცვის მომწყობი კომიტეტი დაიტუსაღეს. 4 აპრილს, როცა ეს ამბები მოხდა, მუშები მიდიოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამხანაგების განთავისუფლება ეთხოვნათ.

მოლაპარაკე დაასკვნის, რადგანაც მთავრობის განმარტება არ არის დამაკმაყოფილებელი, ყველა მოხელე პირნი, რომლებიც ლენის ამბების დროს უკანონოდ იქცეოდნენ, სამართალში უნდა მიიცესო.

ბურიანოვი ამტკიცებს, ეხლა ცხადია, რომ ლენის ამბებში დამნაშავე ცენტრალური მთავრობა ყოფილა. ლენის ამბები შედეგია მთავრობის საერთო პოლიტიკისა მუშათა საკითხში. რადგანაც ორატორი შემდეგ მკაცრი კილოთი ლაპარაკობდა, თავმჯდომარემ სიტყვა გააწყვეტინა.

მალინოვსკის მთავრობის სიტყვებიდან გამოჰყავს მხოლოდ ერთი დასკვნა, რომ მთავრობა სრულის თანხმობით მოქმედებდა ლენის ამხანაგობასთან ერთად.

(შემდეგი არ მიგვიღია).

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა საჩუქრად 1912 წლის ექსპლუატაციის შედეგის მიხედვით 261,385 მან. გადაიდო.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს** აზრად აქვს, წელს ტფილისის გუბერნიაში ამერიკულ ვაზის საძი სანერგე ჩაჰყაროს 50 დესეტინის მანძილზე.

◆ **შუამდგომლობა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო შუამდგომლობს, რათა მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან 5,000 მან. მიეცეს ერთდროულად საპერაციო ბიუროს მოქმედების გასაფართოვებლად. ბიუროს აზრია, სოფლის მეურნეებს ხელსაყრელ პირობებში მიაწოდოს სხვა და სხვა თესლეულობა და სამეურნეო იარაღ-მანქანები

◆ მარტის უკანასკნელ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა პეტერბურგის გამოჩენილი ლიტერატორი გ. ვასილევსკი („ნე-ბუკვა“), რომელსაც აზრად აქვს წაიკითხოს ლექცია შემდეგ თემაზე: ოჯახის დარღვევა (ომი დედაკაცთა და მამაკაცთა შორის, მამები და შვილები).

◆ **სურათების დარბაზი.** საუკეთესო ხელოვნებათა წამქეზებელ კავკასიის საზოგადოების თხოვნის თანახმად ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაუთმოს ამ საზოგადოებას სურათების დარბაზისათვის მესამე სართული ბებუთოვის ქუჩაზე განზრახულ საქალაქო სახლისა.

◆ **ვერის პარკის** აუზების ამოკრებას უკვე შეუდგნენ. აუზების ადგილას წყლის ორი შადრევანი გაიმართება.

◆ **ქალაქის სამშობიარო თავშესაფარის კურთხევა** 23 მარტისთვის დაინიშნა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ „ნაძალადევის“ სცენის მოყვარეთა წლიურ-წევრთა კრება დანიშნულია 23 მარტისათვის დილის თერთმეტ საათზე „ნაძალადევის“ თეატრის დარბაზში, ანგარიშების განსახილველად და ახალ გამგეობის და სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

◆ **„ახალი კლუბის“** მამასახლისთა არჩევნები. დღეს, საღამოს 8 საათზე, ქართულ თეატრში დანიშნულია ახალი კლუბის 4 მამასახლისისა და მათი კანდიდატის არჩევნები. როგორც მკითხველებმა იციან, ეს კრება გაგრძელებაა იმ კრებისა, რომელსაც ახალი მამასახლისების არჩევის გამო დიდი ბრძოლა იყო გამართული. ეს ბრძოლა, უეჭველია, დღევანდელ კრებაზედაც გაგრძელდება.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას, 16 მარტს, საზოგადოების მიერ არჩეული კომისია გორის მაზრის ს. ტყვიავში მიემგზავრება ადგილობრივ მემამულის გაბუნიას მამულის დასათვალიერებლად. მამული ზომით 20 დესეტინაა და მისი შექმნა სამეურნეო კომისიას სურს ხეხილის სანერგის გასაშენებლად. კომისიაში შედიან: პ. გ. მელია, ი. ი. ფურცელაძე, კ. ფ. აფრიკიანი და აგრონომი ე. ვ. კარბელაშვილი.

ქართულ სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა, სხვა და სხვა რაიონში გაიმართოს საჩვენებელი პრაქტიკული მუშაობა: ვაზისა და ხეხილეს გასხლა, წამლობა და სხვა.

ქუთაისი

◆ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიას განუზრახავს გამოსცეს „საისტორიო ბიბლიოთეკა“ დიმ. უზნაძის რედაქტორობით. პირველი წიგნაკი „მაჰმადი“ უკვე დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად. მეორე წიგნაკი „ისლამი“ იბეჭდება; მესამე წიგნაკი „ხალხთა გადასახლება“ მზადდება დასაბეჭდად.

◆ ქუთაისში უკანასკნელ დღეებში საუცხოვო ამინდია. მრავალი ექსკურსია უმეტესად ახალგაზდებისაგან შემდგარი გადის ქალაქ გარედ სასეირნოდ.

დონის-როსტოვი

◆ მარტის დამდეგს როსტოვის ციხიდან გაანთავისუფლეს ექიმი პ. ქიქიბაძე. დანარჩენები: ე. დევდარიანი, გ. ერაძე და მათთან დაჭერილი ადგილობრივი რუსები და ებრაელები ისევ ციხეში სხედან.

ხარკოვი

◆ ამ დღეებში ხარკოვიდან როსტოვში ეტაპით ჩაიყვანეს პოეტი ვ. ტუსქიშვილი, მაგრამ იქაურმა ადმინისტრაციამ არ მიიღო და ეტაპით ტაგანროგში გაგზავნა. ტაგანროგიდან მას ნება დართეს სინიავკის სტანიცაში ცხოვრებისა—ორმოც ვერსზე დონის-როსტოვიდან, სადაც იგი უკვე გაემგზავრა. პოეტი თურმე დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდის. საჭიროა დახმარება.

ჭიათურა.

◆ 16 მარტს (კვირას) ადგილობრივ თეატრის დარბაზში დანიშნულია ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ახალი წევრების არჩევნები.

დასელის წერილი ტერიტორიის სასარგებლოდ

მოგვყავს ნ. ს—ს წერილის დასასრული „ბათ. გაზეთიდან“. ავტორი თავში აღნიშნავს, რომ ეროვნული ინტერესები და ეროვნული მისწრაფება ნაციონალისტების შექმნილი არაა, რომ თვითონ ხალხის რეალური საჭიროება, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება მოითხოვს ეროვნულ უფლებათა დაცვას. შემდეგ მოჰყავს ნ. ე—ას სიტყვები, რომ ყოველი ხალხი მოვალეა გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა თავისვე ტერიტორიის საზღვარში, თავის უფლებები მოითხოვოს იქ, სადაც დაჰკარგა და არა იქ, სადაც არა დაუკარგავს-რა, და სწერს:

„ეს არც ერთ სხვა ერის უფლებას და ღირსებას არ შელახავს, თავის თავად არავითარ ეროვნულ ჩაგვრას არ შეიცავს და არც უცხოელთა განდევნას და აღებ-მიცემობის შეზღუდვას ჰგულისხმობს. ამას გვაფიქრებინებს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, მუშა ხალხის მდგომარეობა და კითხვების დემოკრატიული გადაწყვეტა. ასეთ პირობებში ვინ იცის, რას დაემსგავსება ნაციონალისტების „ეროვნული პოლიტიკა“, ვინ იცის, სად და როგორ გაქრება, ვთქვათ, „კლდის“ ნაციონალური რადიკალიზმი, რომელიც—(კარგად გვახსოვს!) სოციალურ-ეკონომიურ ზომიერებაზე ემყარება!

დღეს თ.-აზნაურობას ბაზარზე გამოაქვს ადგილ-მამული გასაყიდად. ამას თხოულობს მისი ინტერესი. გლეხ-კაცობაში ის იშვიათად ნახულობს მყიდველს. აქ ეკონომიური მეტოქეობაა და იმარჯვებს ის, ვინც უკეთ არის შეიარაღებული თანამედროვე ფარ-ხმლით—ფულით. ასეთია ხშირად სომხის ბურჟუაზია, რომელიც აღებ-მიცემლობს და იძენს ადგილებს, როგორც ქონებრივად ძლიერი. ეს აღებ-მიცემობა ეკონომიურად სრულიად ბუნებრივი პროცესია, რომელიც დღევანდელ ბურჟუაზიულ წეს-წყობილებასთან არის ორგანიულად შეკავშირებული. ამ ყიდვა-გაყიდვის შეჩერება ნაღდი ეკონომიური ურთიერთობის შეჩერებაა, ახალი ცხოვრების სასიცოცხლო ძალების მოსპობაა. თუ ამ შემთხვევაში ქართველი ელემენტი სუსტობს და მიწებს უცხო ერის წარმომადგენლები იგდებენ ხელში, ამის მიზეზი დღეს ქართველი ხალხის ნივთიერი და მოქალაქობრივი უძლურებაა. მაშასადამე ვისაც ჰსურს, რომ ქართველმა ხალხმა უკეთესად დაიცვას თავისი ტერიტორია და უფრო საიმედო პირობები შექმნას თავისი კულტურულ-საზოგადოებრივ წინსვლისთვის, ვალდებულია, იზრუნოს მის ასამაღლებლად ნივთიერად და მოქალაქობრივად. ეს ირთიანად შედის განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამაში, რომელსაც თავ-გამოდებით ებრძვის

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ამბავი).

(შემდეგი *)

სიმონოვიჩმა ეხლა შატილისაკენ გასწია, სადაც თითონ ბატონიშვილი ეგულებოდა.

ხევსურები აბა როგორ უნდა შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ხელიდან უნდა გამოსცლოდათ მათი საყვარელი სოფელი შატილი, რომელიც შეადგენდა მათი ქვეყნის სიმაგრეს და საუკუნოებით მოწმე იყო მათი მუდმივი თავისუფლებისა. ამ სოფელს თავის დღეში არ ენახა თავის ამაყ და დროთა მიერ გარუჯულ კედლებთან არავითარი მტერი.

ხევსურებმა მოიკრიფეს უკანასკნელი ძალა, მოიხმეს საშველად ქისტები და 3 ივნისს დაიპირეს გიორგი წმიდის მახლობლად პეგის-თავის სიმაღლეები, რომლებიც ჰფარავდნენ მათ სამშობლოს ბუდეს.

სიმონოვიჩმა ყოველივე მხრიდან მოუარა მეამბოხეთ და სასტიკი სროლა აუტეხა. ხევსურები თავდაპირველად მამაცურად იბრძოდნენ, ბოლოს ძლეულნი გაიფანტნენ, თავიანთი საყვარელი სოფ. შატილი მიატოვეს, მდ. არგუნის გაღმა გავიდნენ და მდინარეზე ხიდი დასწვეს.

სიმონოვიჩმა მათ ცხენოსანი ჯარი დაადევნა, რომლებიც ცხენებით არგუნზე გავიდნენ და უკანასკნელ სიმაგრეებიდანაც გააძევეს.

ამნაირადო, სწერს თავის მოხსენებაში რტიშჩევი, ეს სიმაგრე, ამაყი თავისი მიუვალობით,—ეს ბუდე ყოველივე ბოროტმოქმედებისა და თავშესაფარი ალექსანდრე ბატონიშვილისა დაიმხო თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის ძლევამოსილ მხმე იარაღ შემწეობით. სოფლები ნაცარ-ტუტად ვაქციე და ციხე-კოშკები საფუძვლიანად დავანგრიეო.

სიმონოვიჩმა სოფ. შატილი დაიჭირა, მაგრამ ალექსანდრე კი იქ ვერ იპოვა. ბატონიშვილმა როგორც კი გაიგო სიმონოვიჩის მოახლოვება, შატილი მიატოვა და 31 მაისს ქისტებში გადავიდა. სიმონოვიჩმა ცალკე რაზმი შეადგინა და პოლკოვნიკ ტიხანოვსკის უფროსობით ქისტებში გაგზავნა. ტიხანოვსკის ჯერ ქისტები უნდა დაესაჯა ხევსურების დახმარებისათვის, მერე კი ალექსანდრე განედევნა თუ კი იქ იქნებოდა.

4 ივანობისთვეს გაემგზავრა ტიხანოვსკი ქისტებისკენ, გაჰყვა არგუნის ხეობას, თორმეტი ვერსი გაიარა, ავიდა ქისტებში—სოფელ მითხოს საზოგადოებაში; აქ მან მეამბოხეთა ბრბონი გაფანტა, რომლებიც წინააღმდეგობის გაწევას უპირებდნენ, შემდეგ ცხრა სოფელი დასწვა და ნაცრად აქცია, 5-ივნისს კი უკანვე დაბრუნდა შატილში.

ალექსანდრე ბატონიშვილმა, ტიხინოვსკის რაზმის მისვლამდის, მიატოვა ქისტების ადგილები და დაღესტანში გადავიდა.

სიმონოვიჩი მთელი თავისი ჯარით უკან წამოვიდა და 7 ივნისს ლაბისკარში მივიდა, სადაც მას დატოვებული ჰყავდა დაჭრილნი და ავადმყოფნი. რომ სამუდამოდ სახსოვარი ყოფილიყო გმირ და შეუპოვარ ხევსურთათვის და გულიდან აღმოუშლელი შთაბეჭდილება დარტოვებინა რუსის მხედრობისაგან მიყენებულ სასჯელს, ამისათვის სიმონოვიჩმა ლაბნის-კარიდან ახლო-მახლო სოფლებში სტალი და ტიხანოვსკი გაგზავნა ჯარით და დაავალა მათი სასტიკი დასჯა. ხუთი დღის განმავლობაში, 8—12 ივნისამდის ტიხანოვსკიმ და სტალმა ოცი სოფელი აიკლეს და ყველაფერი ცეცხლს მისცეს. 13 ივნისს ეს ჯარი ფშავშეთისაკენ წამოვიდა და სოფ. შუაპხოსთან გენერალ სიმონოვიჩს შეუერთდა და 15 ივნისს კი ყველა ერთად თიონეთში დაბრუნდნენ, საიდანაც შემდეგ მთავარ-მართებლის ბრძანებით თავიანთ ბინებისაკენ დაიშალნენ.

ხევსურეთის ლაშქრობამ მშვენივრად ჩაიარა, ალექსანდრე განდევნილი იქნა საქართველოს ახლო-მახლო ადგილებიდან, საქართველოს სამხედრო გზაც განთავისუფლებული შეიქმნა მუდამ ძარცვა-გლეჯისაგან, თავზადაცემული დარჩნენ მთიელთა შეთქმულნიც, რომლებიც შეერთებული ძალით სცდილობდნენ საქართველოს შველას.

სპარსეთის ცბიერებაც შეიზღუდა, რადგანაც რუსის მხედრობას ეხლა თავისუფლად შეეძლო მათ წინაშე მოქმედება.

თუ რამდენად სასტიკად იქნენ დასჯილნი ხევსურები 1813 წ., მოწმობს ის გარემოება, რომ ერთი მგზავრის სიტყვით, რომელმაც ხევსურეთი ინახულა 30 წლის შემდეგ, ხევსურები დიდის საშინელებით იგონებენ იმ უბედურებას, რომელიც მათ თავს მოევლინათ 1813 წ.[1]) ამის შემდეგ ხევსურებს ფიქრადაც აღარ მოსვლიათ რუსის მთავრობის წინააღმდეგობა.

სოფელმა შატილმა, რომელმაც ალექსანდრეს ბინა მისცა 1813 წ. და ასეთი ურჩობა გასწია რუსის მთავრობის წინაშე, 1843 წ. შამილთან ბრძოლის დროს, რუსის მხარე დაიჭირა. მან შამილს, ერთი საუკეთესო ნაიბს—ახვერდი-მაჰომას და მის რაზმს თავზარი დასცა, თითონ ნაიბს ტყვიით გული გაუგმირა. მათი ასეთი ერთგულობა უყურადღებოდ არ დასტოვა იმპერატორმა ნიკოლოზმა I-მა და ნიშნად ყურადღებისა დიდი საჩუქარი უბოძა მათ. აგრედვე უბრძანა აქ აეშენებინათ საყდარი შესაფერისი წარწერით.[2])

მთავარ-მართებელი რტიშჩევი, თავის უქვეშევრდომესს მოხსენებაში, დაწვრილებით აღწერს იმ გაჭირვებას, რომელიც რუსის მხედრობამ გამოიარა ხევსურეთში. სხვათა შორის, ამბობს, რომ არც ალექსანდრე მაკედონელს, რომელმაც დაიპყრო აქაური მხარე, არც რომაელებს, რომლებიც მორჩილებდნენ ზოგიერთ აქაურ ხალხს და არც რომელიმე სპარსეთის შაჰს არ გაუვლია იმ ადგილებში, სადაც გაიარა და სახელი მოიხვეჭა თქვენმა უდიდებულესობის მხედრობამ, დამონებულია ის ხალხი, რომელიც ჯერ არავის დაუმონებიაო.

ამ ლაშქრობის გულისათვის, სახელოვანი გენერალი სიმონოვიჩი დაჯილდოვებულ იქმნა წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ჯვარით და წარდგენილ იქმნა გენერალ ლეიტენანტის ჩინზე, მაგრამ უკანასკნელს ვეღარ მოესწრო და გარდაიცვალა 2 ნოემბერს 1815 წელს—ქალაქ ტფილისში.

საქართველოში მშვიდობიანობა ჩამოვარდა; ეს მშვიდობიანობა რომ უფრო მტკიცე საფუძველზე დამყარებულიყო, ამისათვის საჭირო იყო საქართველოს მეზობელი სპარსელების და ოსმალოს ადგილების სამუდამოდ დაპყრობა, ვინაიდგან მათ დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოზე და ვინ იცის შემდეგ კიდევ რა არ მოხდებოდა.

1813 წლის 12 ოქტომბრის დადებულ გიულისტანის ხელშეკრულების ძალით რუსეთმა შემოიერთა სახანოები: ყარაბაღისა, განჯისა, შირვანისა, დარუბანდისა, ბაქოსი და სხვ. ამ ხელშეკრულების ძალით მთელი დაღესტანი და საქართველო სპარსეთის მთავრობამ რუსეთის იმპერიის საკუთრებად აღიარა.*)

ამის შემდეგ ალექსანდრეს მოქმედება შეზღუდული იყო. ის დაღესტანში იმყოფებოდა, ნივთიერად დიდ გასაჭირს განიცდიდა, ხშირად მშიერიც რჩებოდა, მაგრამ მორჩილებას მაინც არა ჰფიქრობდა.

1813 წელს, აბბას-მირზამ რტიშჩევს სთხოვა ალექსანრდესათვის ნება მიეცა სპარსეთში გადასვლისა. რტიშჩევი დასთანხმდა შემდეგის პირობით: 1) თუ ალექსანდრე კიდევ იფიქრებდა საქართველოს აჯანყებას, იმ შემთხვევაში რუსის მთავრობისათვის მიეცათ იგი ხელში, 2) ალექსანდრეს უნდა გაენთავისუფლებინა ის რუსის აფიცრები და ჯარის-კაცები, რომლებიც ტყვედ ჰყავდა წაყვანილი და დაღესტანში ინახავდა; 3) სპარსეთში წასვლის დროს, ალექსანდრეს იმ გზებზე უნდა გაევლო, რომელსაც რტიშჩევი თითონ დაუნიშნავდა. მოლაპარაკების ვადა ერთი თვე იყო დანიშნული. ალექსანდრე პასუხს არ აჩქარებდა.

ამ დროს დაღესტანში იმყოფებოდა ყაზიყუმის ხანი სურხან-ხანი 3,000 კაცით კურიინის სახანოს აღელვებდა; ალექსანდრე ამასაც უცდიდა, თუ რით გათავდებოდა ეს ამბოხება.

1816 წელს ტფილისში მოვიდა აბბას-მირზასაგან გამოგზავნილი კაცი ალექსანდრეს წასაყვანად, თან 1,500 მანეთი ჰქონდა გამოტანებული ალექსანდრეს გზის ხარჯად.

რტიშჩევმა ეხლა კიდევ შეუთვალა ალექსანდრეს ან დამორჩილება ან სპარსეთში წასვლა, თანაც დაცვასა და ხელ-უხლებლობას ჰპირდებოდა. ალექსანდრე შეურყევლად იდგა თავის სიტყვაზე: დავმორჩილდები რუსეთსო,—სწერდა ის—თუ მე დამიბრუნებს ჩემს სამემკვიდროსო —ე. ი. გავხდები საქართველოს მეფედო; თუ აგვისტოს დამლევამდის არ დამიბრუნებენ საქართველოს, ომს გამოგიცხადებთო, სწერდა ალექსანდრე რტიშჩევს.

ამ დროს ალექსანდრეს კინაღამ უბედურება არ დაატყდა თავზე. ლეკებმა რტიშჩევს სთხოვეს ნება მიეცათ მათთვის საქონელი ჩამოერეკათ საძოვრად კახეთის მინდვრებში, რადგანაც საძოვრის სიმცირის გამო საქონელი ეხოცებათ. რტიშჩევი დასთანხმდა და სამაგიეროდ ალექსანდრეს გაცემა მოსთხოვა.

ალექსანდრე ლეკებს შეჰპირდა სპარსეთში წავალო, თითონ კი იმავე დროს პირდაპირ ხელმწიფე იმპერატორთან გამართა მიწერ-მოწერა. ვექილად აირჩია ვინმე სომეხი ბასტამოვი, გადასცა ქაღალდები და დაავალა პეტერბურგს წასვლა. ბასტამოვმა თითონ ვერ შესძლო პეტერბურგს წასვლა, თავის მხრით იქ წასვლა მიანდო პრაპორშჩიკს ივანე ყორღანოვს და ქაღალდებიც მას გადასცა[1])

ყორღანოვმა პეტერბურგში ალექსანდრეს წერილი ერთი უმაღლეს სახელობაზე წარადგინა და მეორე გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა. საქმე ისე წაიყვანა, რომ გრაფი ნესსელროდე შევიდა ალექსანდრეს მდგომარეობაში და გადასწყვიტა მისი დახმარება და ლეკთა ქვეყნიდან გამოყვანა. ყოველივე განკარგულება ამის შესახებ და სახარჯო ფულის გაღებაც, რტიშჩევის დაუკითხავად, კავკასიის ლინიის უფროს გენერალ მაიორ დელპოცცოს მიენდო, რომელსაც ებრძანა მიეღო ალექსანდრე ყიზლიარში შესაფერი პატივით, მიეცა მისთვისა და მისი ამალისათვის რიგიანი ეტლები და ურმები და მოსკოვის მოკლე გზით პეტერბურგს გაეგზავნა. ალექსანდრეს მოხმობა ქთებიდან და მისთვის მინისტრ ნესსელროდეს წერილის გადაცემა, თანახმად ხელმწიფის ბრძანებისა მინდობილი ჰქონდა ყორღანოვს[2]).

ყორღანოვი დაბრუნდა პეტერბურგიდან, ალექსანდრე ინახულა, გადასცა მას ბევრი რამ დაპირება ხელმწიფე იმპერატორისა და აგრედვე ურჩია უწინარეს ყოვლისა ფული ეთხოვა. ალექსანდრეც ასე მოიქცა, გაუგზავნა დელპოცცოს სამი თავისი დაახლოვებული კაცი დ 20,000 მანეთი მოსთხოვა ვალების გასასწორებლად. დელპოცცომ ამდენა ფულის გაგზავნა ვერ გაბედა, მხოლოდ 11,000 მანეთი გაატანა ყორღანოვს ალექსანდრესათვის გადასაცემად და გარდა ამისა მრავალი ნივთი და ტანისამოსი, აგრედვე გაგზავნილ იქმნა კერძო დეპუტაცია, რომელსაც გრაფ ნესსელროდეს წერილი უნდა გადაეცათ ალექსანდრესათვის.

ყორღანოვმა გადასცა ალექსანდრეს მცირე ნაწილი ფულისა, დანარჩენი კი თითონ მიითვისა; ეს ასეც იყო მოსალოდნელი.

ივ. ბესაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 1137.

[1]) გამიგონია, რომ დღესაც ხევსურეთში გარდმოცემით ბევრს ახსოვს ეს საშინელების დღეები.

[2]) წარწერა ამოჭრილია ქვაზე, ეკლესიის მარჯვენა მხარეს, შესავალ კარებთან და ამბობს: „უმაღლესი ბრძანებით, ჯილდოთ შატილელებს, ახვერდ-მაჰმადის და მისი ბრბოს ამოწყვეტისათვის. 1843 წელს. აშენებულია თავ. კავკასიის ნამესტნიკისაგან 1849 წ. პოტტო, ტ. 2 გვ. 424.

*) ამ ხელშეკრულების დამტკიცება მოხდა პარიზში 1814 წ. 21 მაისს.

[1]) ყორღანოვი, როგორც სჩანს მეტად დაცემული კაცი იყო ყოველმხრივ. რუსულად ასე არის მის შესახებ ნათქვამი: „Этотъ былъ тотъ самый Коргановъ, который впослѣдствіи стяжалъ на Кавказѣ весьма характерное для себя прозвище „Ваньки Каина“. პოტტო ტ. 2. გვ. 514.

[2]) გრაფ-ნესსელროდს მოწერილობა გ. მ. დელპოცცოსადმი 1816 წ. მაისის 2, პოტტო, ტ. 2. გვ. 514.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყვირალა ნაციონალიზმი და რომლისთვისაც თავგამოდებით იბრძვის საქმიანი დემოკრატია...

თ.-აზნაურთა ადგილ-მამულს იძენს აგრეთვე მთავრობის საგლეხო ბანკი, რომელიც მძლავრი ეკონომიური იარაღია გამეფებულ ნაციონალისტურ პოლიტიკისა. ამის საშუალებით, როგორც დღეს ყველამ იცის, ერთსა და იმავე დროს ორს კურდღელს იჭერენ. მუდმივ მუქარას და შფოთს რუსის მწყურვალ გლეხების სახით იცილებენ თავიდან და უცხოთა შორის ხელოვნური ჩასახლებით ჰქმნიან კერას ნაციონალური ბრძოლისას. რუსის გლეხების ჩასახლება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში ხალხში დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს, რადგანაც მას პირიდან ჰგლეჯენ ლუკმა პურს. იბადება ორნაირი ჩაგვრა ხალხისა: ეკონომიური და ეროვნული. ასეთი მდგომარეობა თხოულობს თანამედროვე რეაქციონური ჩასახლების პოლიტიკის უარყოფას, რასაც ყველაზე უფრო მედგრად დემოკრატიის წარმომადგენლები აწარმოებენ როგორც სათათბიროში ისე მწერლობაში, როგორც სიტყვით, ისე საქმით". მაგრამ რაც უნდა იყოს, ეს არის მოთხოვნა მხოლოდ უარყოფითი, რომელიც თავისთავად არაფერს ლაპარაკობს ადგილობრივი ხალხის უფლებაზე. ტერიტორიალური ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ საჭიროა არა მარტო უარყოფითი, არამედ დადებითი მოთხოვნაც, რომ ხალხის მიწა-წყლის ბედიღბალი, მისი ტერიტორია მისავე განკარგულებაში დარჩეს.

დასასრულ, შეუძლებელია, მივიღოთ „ს. ხმის" შეხედულება საზოგადოდ ტერიტორიის შესახებ. მისი აზრით, არის რუსეთის ტერიტორია, სადაც ძალაშია რუსული კანონი. არსებობს საფრანგეთის ტერიტორია სადაც მართვა-გამგეობა საფრანგეთის კანონის თანახმად სწარმოებს. არსებობს ფინლანდიის ტერიტორია, რომელიც ფინლიანდიის კანონმდებლობას ემორჩილება. მაგრამ არ არსებობს პოლონეთის ტერიტორია, ვინაიდან დიდი ხანია მოისპო პოლონეთის „რეჩპოსპოლიტა"-ო. ეს თუ ასეა, ცხადია საქართველოს ან სხვა დამორჩილებულ ერის ტერიტორიაზედაც სულ ზედმეტია ლაპარაკი. უეჭველად ფინლიანდიის რომ მოუსპონ სრულიად ყოველ-გვარი კანონმდებლობა (ან კი რაღა დარჩა?), მისი ტერიტორიაც აღარ იარსებებს. ყოველივე ეს მართალია თუ ოფიციალურ სახელმწიფო უფლებას ავიღებთ სახელმძღვანელოდ, ფაქტს ვაღიარებთ, ხოლო მისი უარყოფის ლტოლვას მივაფუჩეჩებთ და ძალმომრეობაზე დამყარებულ წყობას ძალმომრეობის უფლების თვალითვე შევხედავთ. ეს განა სავალდებულოა ჩვენთვის? როცა მძლავრი ერი (უკეთ მისი გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაცია) ყლაპავს პატარა ერებს ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დამორჩილებულნი მაინც და მაინც გაბატონებულის ოფიციალური სახელმწიფოს უფლების მიხედვით უნდა უცქეროდნენ საქმეს და ამ ნაირად ითვალისწინებდნენ თავის აწმყოს და მომავალს. გაზეთს ავიწყდება, რომ არსებობს ოფიციალურ სახ. უფლებასთან ერთად დამოკიდებულ ერთა უფლებაც, რომელთაც ანგარიშს უწევს საერთაშორისო უფლება, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო მიუდგომელი და ობიექტიური, ვიდრე სახელმწიფო უფლება. ესეც არ იყოს, უდიდესი პრინციპი ერთა თვითგამორკვევის უფლებისა, რომელსაც თანამედროვე სოციალიზმი აღიარებს, ერთბაშად ჰკარგავს მნიშვნელობას, თუ ოფიციალური სახელმწიფო უფლების ცნებას არ გავცილდებით. რომ სპარსეთი დაინაწილებინათ დ მიეთვისებინათ დიდ სახელმწიფოებს, ოფიციალური უფლება იტყოდა: სპარსეთის ტერიტორია არ არსებობსო, მაგრამ თვითონ სპარსეთის ხალხი ვფიქრობთ, ასე არ გამოვიდოდა და ისევ თვით-გამორკვევის გზას დაადგებოდა. იაპონიამ შეიერთა კორეია, ავსტრიამ ძალადობით უფლებები აჰყარა პატარა ბოსნია-ჰერცოგოვინას, გერმანიამ ელზას-ლორენი დაიპყრო და სხ. მაგრამ არ ვიტყვით, მათი ტერიტორია არ არსებობდეს ამ ქვეყნების ერების უფლებრივ შეგნებით და საერთაშორისო დემოკრატიის წარმოდგენით. დაინტერესებულ მოძალადეების გარდა, არავის ექნება ეჭვი, რომ მათ აქვთ ტერიტორია და უფლებაც იბრძოლონ შემავიწროებელთა წინააღმდეგ. აი სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა და გაძლიერდა დღევანდელ მრავალეროვან სახელმწიფოებში ერთა ავტონომიური მოძრაობა, რომლის სამუდამოდ შეჩერება არავითარ სოციალურ ძალას და უფლებას არ შეუძლიან".

ორაგულის სვე-ბედი

თქვენ, მკითხველო, არ ვიცი ხართ მომსწრალი თუ არა იმ დროს, მთელი ორაგული მანეთად გაყიდულიყოს, გირვანქა ასე ორ კაპეიკნახევრად. ძალიან დიდი ხნისა არც მე გახლავართ და მე ბევრი ამისთანა შემთხვევის მოწამე ვყოფილვარ. შეიძლება ეს იმისგანაც ხდებოდა, რადგან მე არაგველი *) გახლავარ, სწორედ ორაგულის სამშობლო ქვეყნიდან. ამ 30—40 წლის წინად არაგვში აუარებელი ორაგული იცოდა. და განა მარტო არაგვში იპოვებოდა მრავლად ორაგული; თხრის დროს (როცა ქვირითს აბნევს) ოქტომბერში, ნოემბრის ნახევრამდის, ბავშვები პატარა მდინარეებშიც ვიჭერდით. ასე რომ ყველა ოჯახში იშოვებოდა ორაგულის ხორცი. დღეს კი იქამდის მივიდა საქმე, საგანგებოდ წასული მონადირე დილიდან საღამომდე რომ შეაკვდეს არაგვს თავის ჩანგლით ვერაფერსა ხდება, სახლში ცარიელი ბრუნდება. სწყევლის ბედს, სწყევლის დროთაცვალებას, სწყევლის იმ მიზეზებს, რამაც ორაგულის თითქმის გაწყვეტა გამოიწვია. ორაგულის სიმცირეს მარტო არაგველები არა ვტირით, არამედ ბარელებიც და ნამეტნავად ტფილისელები, რა თქმა უნდა, შეძლებული ნაწილი საზოგადოებისა: დღეს გირვანქა ორაგული ღირს 1 მ. 50 კ. და შოვნაც აღარ არის. რა არის ამის მიზეზი ნუ თუ გამრავლება ხალხისა ან გარეშე ბაზარი? არც ერთი, არც მეორე. პირდაპირი მიზეზი ორაგულის სიძვირისა არის პირდაპირ მისი შემცირება, გაწყვეტა, გადაშენება. ესევე დაემართა შამაიას, რომელიც ერთ დროს სელიოტკის ფასად იყიდებოდა და დღეს კი მისი ფასი გირვანქა ორაგულის ფასს უდრის.

რა არის მაშ მიზეზი ორაგულის ისეთი შემცირებისა, რომ განაღამც ღარიბს აღარ მიუწვდება ხელი, არამედ მდიდრებისათვისაც საშოვარი აღარ არის, თუმცა ფული ბევრია და არც ჰზოგავენ ისინი თუნდ გირვანქა ორაგული სამი მანათიც გახდეს?

მიზეზი ორაგულის გაწყვეტისა გახლავთ სალიანის ფაცერი. მთავრობის განკარგულებით ეს ფაცერი რამდენიმე ხანს უნდა მოიჯარადრემ აიღოს და მისცეს თევზს საშუალება თავისუფალი მოგზაურობისა. ამისათვის არის დანიშნული ცალკე მოხელე.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძაღლის თავი აქ არის დამარხული და სწორედ ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ვაჟა-ფშაველა.

---

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ორაგულის სახელი არაგვიდან წარმოსდგა: ორაგული-არაგული. ავტ.

ხე-ტყის მრეწველობა ქუთაისის გუბერნიაში

ქუთაისის გუბერნიაში ხე-ტყის მრეწველობის დედაგული ფოთია. თვითონ ფოთის ახლო-მახლო არაა ტყეები, მაგრამ მდინარეების საშუალებით სხვა და სხვა ადგილიდან ფოთი ყოველ წლიწადს იღებს ნახევარი მილიონი მანეთის ხე-ტყის მასალას. უდიდესი წარმოება აქვს ამხანაგობას „კავკასიის ტყეს" (დაარსებულია იტალიელებისაგან), რომელსაც იჯარით აქვს აღებული სვანეთის ტყეები. ამხანაგობას აქვს სახერხი ქარხნები საჭილაოსა და ფოთში. ხე-ტყე ჩამოაქვთ ცხენის წყლითა და რიონით. ამხანაგობა 600-მდე მუშას ამუშავებს. დამუშავებული მასალა გააქვთ უცხოეთში. ამხანაგობას დიდი თანხა აქვს და ჰსურს საქმე ფართოდ დააყენოს.

გარდა ამ ამხანაგობის ქარხნისა ფოთში ათამდე სხვა სახერხი ქარხანაცაა. უმეტესი მათგანი დასამუშავებელი ხე-ტყეს იქვე ყიდულობს ადგილობრივ მწარმოებლებისაგან. ესენი დამზადებულ მასალას უმთავრესად რუსეთში ჰგზავნიან. მოთხოვნილება დიდია და ყველას ვერ აკმაყოფილებენ. აშკარაა, რომ ხე-ტყის წარმოებას ქუთაისის გუბერნიაში კარგი მერმისი აქვს, ხოლო საჭიროა მისი მოწესრიგება და უცხოეთის ბაზრის ფასების ცოდნა.

ტფილისის მუშათა გუნდი

ყველას მოეხსენება, თუ როგორი ალაგი უჭირავს ერის კულტურულს ცხოვრებაში მუსიკას. ჩვენი სამშობლოს მრავალფეროვან ბუნებისა და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით ჩვენს ხალხს შეუქმნია სხვა და სხვა ტკბილი და სევდიანი ჰანგები. დღევანდელს დაქვეითებულს ხანაში ჩვენი ხალხი თუმცა ვეღარ ჰქმნის ამ დარგში ახალს, მაგრამ ძველთაგან გადმოცემული იმდენია, რომ მათი შეკრება და საფუძვლიანად შესწავლაც დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს, რასაც აუცილებლად მოჰყვება წმინდა ქართული მუსიკის აყვავება. კარგი, რომ ამ ეროვნულს საუნჯეს ბოროტი ხელი ვერ მისწვდა, იგი ფულზე არ გაიყიდება, თორემ მასაც იგივე დღე დაადგებოდა, როგორიც ადგას ჩვენი ხალხის მარჩენელს მიწა-წყალს და ძველ ნაშთებს. ჩვენი ეროვნული მუსიკა ჩვენს სოფლებში, ხალხის სულშია შენახული; ჩვენმა ხალხმა გაიგო უკვე დიდი ეროვნული მნიშვნელობა მისი და შეუდგა მის საფუძვლიანად შესწავლას. სწორედ ამ მიზნით შესდგა საქართველოს სხვა და სხვა დაბა-ქალაქებში მომღერალთა გუნდები. ტფილისშიაც დაარსდა მომღერალ-მგალობელ მუშათა გუნდი, რომელშიაც ირიცხება ას კაცამდე. გუნდს ლოტბარობს მ. კავსაძე. წარსულს თვეში გუნდმა აირჩია გამგეობა, რომელშიაც შედიან: ი. ჟორდანია, ა. ბაქრაძე, ვ. საგანელიძე, ი. ქარსელაძე და ა. დავითულიანი (ეს უკანასკნელი გამგეობის თავმჯდომარეა) და სარევიზიო კომისია: ი. ჩალაძისა და ტ. ჯანგირიძისაგან. ამათ შეიმუშავეს საამხანაგო პირობა და შეუდგნენ გუნდის საქმეებზე ზრუნვას. გუნდმა დაიარსა „ფონდი", რომელსა შეიადგენს: საწევრო გადასახადი თითო მანეთი, შემოსავლის 25%, შეწირულება და სხვა. შარშან მაისში გუნდმა გამართა ზუბალაშვილების სახალხო სახლში ერთი კონცერტი. მას აქეთ გულმოდგინედ გუნდი შეუდგა სიმღერების შეკრებას და შესწავლას. ამ საქმეში გუნდს დიდს სამსახურს უწევს ის გარემოება, რომ გუნდის წევრები ტფილისში მომუშავე საქართველოს სხვა და სხვა კუთხის გლეხები არიან და ყველანი მცოდნენი თავიანთი კუთხის სიმღერებისა. მარტის 25 ეს გუნდი ზუბალაშვილის სახალხო სახლში კონცერტსა ჰმართავს. კონცერტის წინ ქართულს მუსიკაზე ლექციას წაიკითხავს ძველი ქართული მუსიკის მცოდნე, ი. კარგარეთელი. კონცერტზე იქნება შესრულებული სხვათაშორის კერპთაყვანის მცემლობის დროინდელი სიმღერებიც. გუნდი ზაფხულში კავკასიის სხვა ქალაქებშიც კონცერტების მოწყობას ჰფიქრობს. წარმატებას ვუსურვებთ.

მუშა.

მიიღება ხელის მოწერა
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა მე-5-ე ტომზე.
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ **23 მარტამდის „სახალხო გაზეთის" რედაქციაში** და ქ. შ. წ.-კითხვ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება **არჩილ ჯორჯაძის** ძეგლის სასარგებლოდ. **ფასი ხელის მოწერით 80 კაპ.**

წერილი ოჩემჩირიდან

სამსწავლო მთავრობას განუზრახავს სოხუმში საოსტატო სემინარიის დაარსება. ქალაქი სოხუმი აძლევს საჭირო მიწას და ფულად 10,000 მანეთამდე. ოლქის მცხოვრებთაგანაც მოითხოვეს ამავე საგნისთვის ხუთ-ხუთი მანეთი კომლზე და წინადადება მისცეს თითოეულ საზოგადოებას განაჩენი შეედგინათ ამ ამ დახმარების თაობაზე. ბევრი საზოგადოება, ზოგი სიღარიბის გამო, ზოგიც სხვა მოსაზრებით, უარზე იყო განაჩენის შედგენაზე. მაგრამ ადგილობრივმა მთავრობამ მოიხმარა ცოტაოდენი გავლენა (давленіе) და ასე თუ ისე შეადგენინა განაჩენები. ბევრგან მაინც ვერ შესდგა განაჩენი.

ახლა 26 თებერვალს სამურზაყანოსა დ კოდორის ნაწილის (აბჟუვის) საზოგადოებათა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ დ. ოჩემჩირეში განზრახულ საოსტატო სემინარიის დახმარების აღმოჩენაზე. ს. ილორი, რომელიც ორი ვერსით არის ოჩემჩირეს დაშორებული, დაჰპირდა—თუ სემინარიას ილორში გახსნიან ოცი ათას მანეთამდე ფულით შევეწევით და 40 დესეტინა მიწასაც შევწირავთ. სამურზაყანოელები მიემხრნენ ამ აზრს, მაგრამ აბჟუვის (კ—დ. ნაწილის) წარმომადგენლებმა ილორში სემინარიის გახსნის წინააღმდეგი ხმა მისცეს, და თანხმობაც განაცხადეს (თუმცა, როგორც ზევით მოგახსენეთ, ხალხი ბევრგან წინააღმდეგია) ხუთ-ხუთ მანეთს გადავიხდით, თუ სემინარია სოხუმში გაიხსნაო. სამურზაყანოს წარმომადგენელნი კი ამის წინააღმდეგნი შეიქმნენ: სოხუმში დაარსებული საოსტატო სემინარია სიშორის გამო ჩვენთვის მაგრე სასარგებლო არ არისო და, ამიტომ ამ საგანზე არც ფულის გაღება შეგვიძლიაო.

ამ ზამთრის სეზონში ტყვარჩელის სახაზინო ტყეში თხები არ შეუშვეს საბალახოდ და ამით პატრონნი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდნენ. წინა წლებში კი უშვებდნენ თხებს; თითო სულ თხაზე ექვს-ექვს შაურს ახდევინებდნენ. მართალია, ეს გადასახადი მცირე არ იყო, მაგრამ მაინც იხდიდნენ. წრეულს კი ბევრი ეხვეწეს და ემუდარეს სახელმწიფო ქონებათა ადგილობრივ წარმომადგენლებს თხის მეჯოგეებმა; ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც ამათ მხარი დაუჭირა, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ს. ტყვარჩელის მცხოვრებთა უმრავლესობა წვრილფეხა რქოსან საქონლითა სცხოვრობს და თუ შემდეგ წლებშიაც აუკრძალეს მათ ზამთრის სეზონში სახელმწიფო მიწებით სარგებლობა, დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდებიან ისინი და იძულებულნი იქნებიან გაწყვიტონ თხები, ხოლო ეს კი სახელმწიფო თვალსაზრისითაც არ იქნება სასარგებლო.

გუფუს საზოგადოებაში შარშან მიწის გამიჯვნა სწარმოებდა. მთლად ვერ მოათავეს. მთის ძირში დარჩა საზოგადო თავისუფალი მიწა, და აქ უნდა მიუზომონ მიწები იმ მცირემამულიანებს, ვისაც ერგება დასამატებელი ნაჭრები. მაგრამ სანამ მიუზომავდნენ, ახლა მაინც ვისარგებლოთო, და ბევრი ნებადაურთველად შესეია თურმე ამ ტყეს და უწყალოდ სჭრიან წაბლის ხეებს. კანონით კი ჯერ სოფელმა განაჩენი უნდა დაადგინოს, თუ ვის რამდენი ხის მოჭრის ნება მიეცეს, მერე ეს განაჩენი მომრიგებელმა შუამავალმა უნდა დაამტკიცოს და მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოსჭრან ხეები. ახლა კი, როგორც ამბობენ, თავის ნებით სჭრიან საზოგადო ტყესაო. ამაზე ეგრედ წოდებულ საზოგადო მიწებისა და ტყეების ზედამხედველებმა უკვე მოახსენეს მომრიგებელ შუამავალსა. ვნახოთ რა გამოვა.

კოდორის ნაწილის ყველა საზოგადოება ორ-ორ კაცს ჰგზავნის სოხუმში, სადაც 4 მარტს სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლებთან ერთად უნდა აირჩიონ დეპუტაცია ტფილისში გასაგზავნად. დეპუტაციამ უნდა იშუამდგომლოს მეფის მოადგილის წინაშე: 1. დასავლეთ-კავკასიის დამშვიდების 50 წლის თავზე ამ წლის 21 მაისს, ნება დართონ გარდაიხადონ საიუბილეო დღესასწაული; 2. სთხოვონ მეფის მოადგილეს, რომ სოხუმის ოლქი ისეთ ადმინისტრატიულ ერთეულად გადაკეთდეს, რომელიც შეეფერება მისს დღევანდელს მდგომარეობას.

კვირას, 2 მარტს, ადგილობრივ სამკითხველოს დარბაზში მოხდა წ.-კითხვის საზოგადოების ოჩემჩირის განყოფილების წლიური საზოგადო კრება. კრებამ დაამტკიცა 1913 წლის შემოსავალ-გასავალი, დაავალა გამგეობას დ. ოჩემჩირის წარმომადგენლებისაგან შეიძინოს მიწა, სადაც უნდა აშენდეს სამკითხველოსათვის საკუთარი შენობა; დაავალა გამგეობას დროზე იზრუნოს და ამ თავითვე იშუამდგომლოს დ. ოჩემჩირეში ქართული სკოლის გახსნის თაობაზე. ბოლოს გამგეობიდან გასულ ორ წევრის მაგივრად ახლები აირჩიეს:—ქ-ნ მარიამ ჩაჩავა და პ. ქარაია. განყოფილების თავმჯდომარედ, მის ამხანაგად და დანარჩენ გამგეობის წევრებად და კანდიდატებად ისევ ძველები დასტოვეს.

Sch.

„ფიგარო"-ს რედაქტორის მოკვლა

კაიოს საქმე.

პარიჟი. გამომძიებელ კომისიის ცნობით, როშეტი სცდილობდა საქმე გაეჭიანურებინა, რომ საფინანსო საქმეები მოეწესრიგებინა. კომისიამ მოისმინა ბარტუს ჩვენება. მან განაცხადა, კაიომ მითხრა, მონისის მეოხებით საქმის გადადება მინდოდაო, მაშინ როშეტი ვერ მოახერხებდა გამოექვეყნებინა ემისიონური ოპერაციების და სხვა საქმეთა ხარჯების სია ფაბრის ოქმი პირადი ხასიათის საბუთად, რადგან კანცელარიაში ჩაწერილი არ იყო. ბარტუმ მოსთხოვა კალმეტს, გამოაქვეყნე იმ ოქმის შინაარსი, რომლის ასლიც ხელთა მაქვსო. ბარტუმ ბრიანს განუცხადა, ამ ოქმის გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებლობას ვკისრულობო. (დეპეშა).

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, პარიჟში ამ რამდენიმე დღის წინად საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის მეუღლემ ქ-ნმა კაიომ რედაქციაში მოჰკლა „ფიგარო"-ს რედაქტორი კალმეტი. ამ ამბავმა მთელი საფრანგეთი ფეხზე დააყენა. პარიზულ გაზეთების ცნობით ეს ამბავი ასე მომხდარა.

კალმეტს რამდენიმე წერილი დაუბეჭდია, სადაც კაიოს ამხელდა, ფინანსთა მინისტრია და ამავე დროს ერთ-ერთ კერძო ბანკის დირექტორიცაო; მან განზრახ შეჰქმნა ბირჟაზე აურზაური რენტაზე გადასახადის დადება და თავის ამხანაგებს საშუალება მისცა ხელი მოეთბოთო. კალმეტს გამოუმჟღავნებია კაიოს წერილი მეგობრისადმი და სხვა კერძო წერილების გამომჟღავნებასაც აპირებდა თურმე. ქ-ნი კაიო ძალიან აუღელვებია ასეთ ცილისწამებას და უკიდურეს ზომისათვის მიუმართავს.

ქ-ნი კაიო „ფიგაროს" რედაქციაში.

კალმეტი ის იყო რედაქციიდან გამოდიოდა ცნობილ მწერალ—რომანისტის პოლ ბურჟეს თანხლებით, როდესაც მას დაბეჭდილი კონვერტი გადასცეს. ზედ ეწერა: „სენატი". კალმეტმა წერილი გახსნა და სადარბაზო ბარათი ბურჟეს გადასცა. ბარათს ეწერა: „ქ-ნი ჟოზეფ კაიო".

— რა თქმა უნდა არ მიიღებთ;—უთხრა ბურჟემ.

— რომ არ მივიღო არ შეიძლება,—უპასუხა კლემენტმა,—ქალია!..

რედაქციის ტალანში გამოჩნდა შავად გამოწყობილი, მოხდენილი ქალი. კლემენტმა თავისი კაბინეტის კარი შეაღო, ქალი წინ გაატარა თვითონაც შეჰყვა და კარი მოხურა. იმწამსვე გაისმა რევოლვერის ხმა ხუთჯერ ზედი-ზედ.

კალმეტს თავაზიანობა ძვირად დაუჯდა.

ქ-ნ კაიოს ჩვენება.

„ფიგაროს" რედაქციიდან, ქ-ნი კაიო პირდაპირ პოლიციაში წაიყვანეს. იქ მან დამშვიდებულის, მტკიცე ხმით განაცხადა:

— მე ვარ გენრიეტა რენდარი, დავიბადე პარიზში 1874 წელს; ჩემს პირველ ქმარს ლეო კლარტის გავეყარე და 1911 წ. კაიოს მივთხოვდი. „ფიგარო" დიდიხანია ილაშქრებს ჩემი ქმრის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს კალმეტმა გამოაქვეყნა კერძო ხასიათის წერილი, 13 წლის წინად კაიოს მიწერილი ერთ „მეგობართან". მარწმუნებდნენ, რომ კალმეტს ბევრი ასეთი წერილები შეუკრებია კერძო ხასიათისა და იმათს გამომჟღავნებასაც აპირებსო. ამაზე ფიქრიც კი გონებას მირყევდა. ჩემი 20 წლის ქალის და ჩემის მეუღლის გულისათვის, რაც უნდა მომსვლოდა, ხელი უნდა შემეშალა ამ წერილების გამომჟღავნებისათვის. ერთს ჩემს მეგობარს, უმაღლეს თანამდებობის პირს რჩევა ვკითხე. „საქმეს აღარა ეშველება!.. ასეთია პოლიტიკურ მოღვაწეთა ხვედრი... ცილის წამებისათვის სამართალში მიცემა და საქმის წარმოება დიდ ხანს გასტანს და როგორც ყოველთვის, უნაყოფოდ ჩაივლის. დღე, დრომ გადასწყვიტოს საქმე, მოთმინება იქონიეთო".

მოთმინებამ მომქანცა. ჩემსა დ ჩემს ქმარზე საშინელ საძაგელ ჭორებს ავრცელებდნენ. ამისათვის ბოლო უნდა მომეღო. ხომ ლაპარაკობდნენ, ვითომ გერმანიამ მარგალიტის მანიაკი შემომთავაზა...

ბოლოს გადავწყვიტე.. გუშინ ნასადილევს პატარა ბრაუნინგი ვიყიდე, დავბრუნდი სახლში, რევოლვერი გავტენე და ჩემს ქმარს წერილი დავუტოვე, სადაც ჩემს განზრახვას ვუზიარებდი.

სალამოს 5 საათზე „ფიგაროს" რედაქციაში მიველ. კალმეტი ვიკითხე. მიპასუხეს: აქ არ არის, მალე დაბრუნდებაო. თითქმის ერთი საათი გავიდა. ცეცხლი მედებოდა.

მეკარეს მეორედ ვკითხე და მიპასუხა.. კალმეტი დაბრუნდაო.

ქ-ნმა კაიომ დაუმატა: „ფიგაროს" რედაქტორის მოკვლა არ მინდოდა, „მხოლოდ ჭკუა უნდა მესწავლებინაო". თანაც სინანული გამოსთქვა, კალმეტი ასე მძიმედ დაჭრილა.

ცოლ-ქმარის შეხვედრა.

სენატში სხდომის გათავების მერე, კაიო ფინანსთა სამინისტროში მივიდა და მუშაობას შეუდგა. სალამოს 7 საათზე პოლიციის უფროსმა ტელეფონით აცნობა „ფიგაროს" რედაქციაში მომხდარი ამბავი. ამ ამბით შეშფოთებული კაიო ავტომობილით პოლიციაში გაემართა.

პოლიციის შესავალ კართან მდგარი მეკარე ხელის ქნევით მოიცილა: „მე—ფინანსთა მინისტრი ვარ"-ო, მეკარე გაშტერდა, კაიომ აღელვებულის კილოთი შესძახა: „შეგეძლო სამხედრო სალამი მოგეცა" დ გაქანებული შევარდა პოლიციაში.

ბრალმდებელმა განუცხადა, რომ ქ-ნს კაიოს სან-ლაზარის ციხეში ისტუმრებენ ეხლავე.

— ატუსაღებთ!

— თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას, ბ-ნო მინისტრო?

კაიომ მიმქრალის ხმით, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა „რას იზამ!. ვწუხვარ, რომ კალმეტი მძიმედ დაჭრილა. მაგრამ ცოლის გამტყუნება არ შემიძლიან".

კაიომ ბრალმდებელს უამბო: დღეს დიდი რაღაც ეჭვი დამებადა, ჩემს მეუღლეს თვალები უცნაურად, შეშლილივით უელავდა... ვეცადე დამემშვიდებინა. ვაი, რომ ვერ შევძელ.

კაიომ თავისი ჩვენების ოქმებს ხელი მოაწერა და მეუღლის ნახვა ისურვა. ნება დართეს.

მათი შეხვედრა მეტად მგრძნობიარე იყო, სულ 4 წუთს გაგრძელდა.

ამავე დროს პოლიცის წინ აღელვებულ ხალხს თავი მოეყარა. ვერაფერის ღონით ხალხი ვერ გაჰფანტეს. კაიო ეზოს მხრიდან, მერძევის დუქნიდან გაატარეს, რომ აღელვებულ ხალხს არ შეჰხვედროდა. როდესაც კაიოს ავტომობილი მერძევის დუქანთან მიაყენეს, ხალხი მიჰხვდა ამ ხერხს და ამ დუქანს მიაწყდა. კაიო დიდის წივილ-კივილით და მუქარით გაისტუმრეს.

ამავე დროს პოლიციის წინ გამოჩნდა მეორე ავტომობილი, შიგ ჩასვეს ქ-ნი კაიო და პოლიციის ორი აგენტი თანხლებით სატუსაღოში გაისტუმრეს.

კაიოს ბინაზე.

„Petit Journal"-ის რედაქტორი კაიოს ბინაზე მისულა და სწერს:

— ჩემი მისვლისას, სახლში მომხდარი ამბისა არა იცოდნენ რა რამდენიმე წუთით ჩემზე ადრე მოსულიყო ქ-ნ კაიოს დობილი, რომელსაც სურდა ენახა მისი ახალი კაბა, რომელიც იტალიის საელჩოს რაუტისათვის შეეკერა.

ზარი დავრეკე. მოსამსახურემ მიპასუხა, შინ არავინ გახლავთ, მინისტრი სახლში არ დაბრუნდება, რადგანაც სადილად იტალიის ელჩთან იქნება. ქ-ნი კაიო კი მალე დაბრუნდებაო. ოთახში იყო ახალი აბრეშუმის წამოსასხამი, ბეწვმოვლებული.

მაშინ გაუმჟღავნე მოსამსახურეებს მომხდარი ამბავი. თავზარდაცემულნი ამას ღა იმეორებდნენ: „საშინელებაა!.. საშინელებაა!.." საბრალო მოახლეს მუხლები ეკეცებოდა.

როდესაც გამოველ, კონსიერჟმა გადმომცა, მინისტრისაგან ეს არის ეხლა ბრძანება მივიღე, სახლში ნურავის მიიღებთო.

პარიზის ქუჩებში.

ამ მკვლელობის გამო მთელი პარიზი ფეხზე დადგა. საღამოს 8 საათზე ყველა გაზეთებმა განსაკუთრებული ფურცლები გამოუშვეს მკვლელობის ამბებით.

ქალაქში დიდი ღელვაა. დიძალი ხალხი მიაწყდა „ფიგაროს“ რედაქციას. საღამოს 10 საათზე აღელვებული ხალხი გაემართა დიდ ოპერის ქუჩისაკენ ყვირილით:

„კაიო-მკვლელი!“.

პარიზის ქუჩები დრეიფუსის დღეს მოგაგონებთ. ყველგან მანიფესტაციები და პოლიციელებთა შეტაკება ხდება. პალატის დეპუტატების დასაცავად „თანხმობის“ ხიდი და მოედანი სავსე იყო გაძლიერებული რაზმებით და პოლიციელებით. ბაურმონტის სასახლის წინ დ მთელი მისი მიდამოები სავსეა ჯარით.

პალატაში მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა; შფოთი და აურზაურია. საზარელი ბრალდებანი ისმის. პარიზის გაზეთების სიტყვით, კალმეტის მოკვლის მეორე დღე გაცილებით ტრაღიკული იყო. ეხლა საქმე ერთი კაცის სიცოცხლეს კი არა, მაგისტრატებისა დ მინისტრების სინდისიერებას, რესპუბლიკის დაწესებულებათა სიმკვიდრეს ეხება. „მატენის“ სიტყვით „პალატამ“ საშინელი დღე განიცადა.

მემარჯვენე დეპუტატი დელაჰე შეეხო ქ-ნ კაიოს ჩვენებას სამოსამართლო უწყების მოხელესთან საუბრის შესახებ. ამ მოხელემ, რომელიც ბრალმდებელი მონიე გამოდგა, ქ-ნ კაიოს აუხსნა, რომ კალმეტას კამპანიის შესაჩერებლად არავითარი ლეგალური საშუალება არ მოიძებნებაო. დელაჰე წინადადება შემოაქვს ან გადააყენონ მონიე ან ამ ბრალდების გაბათილება მოსთხოვონ. დელაჰე კითხულობს დეპუტატ ტალიენის წერილს, ქ-ნ კაიოსადმი მიწერილს. „მე არა მაქვს პატივი თქვენის ცნობისა, მაგრამ მე ვიცი მთელი უსირცხვილობა ბინძურ პრესისა უწმინდეს გრძნობებისადმი, ვიცი თუ როგორ იბრძვის იგი—არ ინდობს არც ოჯახს, არც კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობას. თქვენ მოჰკალით ერთი. ვაშა!“ ამ სიტყვების გაგონებაზე მემარჯვენეებმა და ცენტრმა აურ-ზაური ასტეხა. მამარცხენენი დ უკიდურესნი სდუმან. დელაჰე ბოლომდის განაგრძობს კითხვას. წერილის მეორე ნაწილიც ასეთივე ხასიათისაა.

დელაჰე იუსტიციის მინისტრს მინის შეეკითხა: იცის თუ არა მან იმ საბუთის შესახებ, რომელსაც იხსენიებდა განსვენებული კალმეტი — წერილი მთავარ-მართებლის ფაბრის ძალდატანების შესახებ, რომელიც მოახდინა მასზე მონისმა, რათა როშეტის საქმის განხილვა გადაედოთ. მარჯვნივ, ცენტრიდან და უკიდურეს მემარცხენენი დეპუტატები წამოცვივდნენ და მონისაგან პასუხს მოითხოვენ.

დუმერგთან თათბირის შემდეგ მონისი ტრიბუნაზე ადის და აცხადებს: ასეთი დოკუმენტი არას დროს არ მინახავს გასამართლებაზე. გავლენა არასდროს არ მომიხდენია.

მინისტრის განმარტებას მემარცხენენი მხურვალე ტაშით მიეგებნენ ზოგიერთი დეპუტატი ეჭვობს ასეთ საბუთის არსებობაზე; სხვანი აცხადებენ: საჭიროა შეეკითხონ ბარტუს, როგორც იუსტიციის მინისტრად ნამყოფს.

საერთო მღელვარების დროს დელაჰე ამბობს: საბუთის არსებობა ყველამ იცოდათ.

„აღადგინეთ საანკეტო კომისია, მიეცით ჟორესს რწმუნებულება, 48 საათით მაინც; იგი აიძულებს გამოცხადნენ ისინი ვინც კანცელარიაში ეს საბუთი მიიღო“.

წამოდგება ბარტუ და მოითხოვს სიტყვას. კაბინეთის მეთაური დუმერგი ლაპარაკობს. იგი ირწმუნება, რომ ასეთი დოკუმენტი მას არ შეჰხვედრია. „ერთის მხრივ—უმატებს დუმერგი—ჩვენა ვხედავთ უსაფუძვლო ბრალდებას, და მეორე მხრით კი ჩვენ ხელთა გვაქვს სასამართლოს თავმჯდომარის ჩვენება, რომელიც მან განაცხადა საგამომძიებლო კომისიის წინაშე, რომ სასამართლოზე ძალდატანება არავის მოუხდენია. მთავარი ბრალმდებელი ხომ ცოცხალია—ყვირის გ. ბენუა—განთავისუფლეთ იგი სამსახურის საიდუმლოებისაგან“. დუმერგი და იუსტიციის მინისტრი მზად არიან აზრის გამოთქმის შეძლება მისცენ მას.

ბარტუ. სიმართლის არ მეშინიან. იგი ჯიბიდან საბუთს იღებს და ფაბრის მოხსენებას კითხულობს. ფაბრი სჩივის, რომ მონისმა კაიოს ინტერესების გამო გადაჭრით მოითხოვა საქმის გადადება. რომ ამ მოთხოვნილებამ ისიც და სასამართლოს თავმჯდომარე ბიდო-დე-ლილიც აღელვა, მაგრამ მათ სხვა გზა არა ჰქონდათ უნდა დამორჩილებოდნენ. „არას დროს არ განმიცდია ასეთი დამცირება—ათავებს ფაბრი. ბარტუ ამბობს: „ღირსების დასაცავად ვინახავდი ამ საბუთს, რათა ხელი შემეშალა სხვა კამპანიებისათვის, რომელთაც, შეიძლება, უფრო მძიმე შედეგები მოჰყვებოდა“.

ბარტუს სიტყვებმა საშინელი ხმაურობა და აურ-ზაური გამოიწვია. დუმერგი აღშფოთებულია საბუთის ისეთნაირად გამოყენებაზე, როგორც ბარტუ მოიქცა და უკვირს, რატომ ბარტუ თავის წინამოადგილის ბრიანის მაგალითს არ მიჰყვა, რომელმაც შეუძლებლად სცნო ასეთ დიდმნიშვნელოვან საბუთის დაფარვა და თავის მოადგილეს გადასცა.

ბარტუს შესახებ უფრო მკაცრად მონისი ლაპარაკობს. იგი უსაყვედურებს ბარტუს, რომ იგი ინახავდა მოშხამულ იარაღს, რათა შემდეგ გამოეყენებინაო. მონისი წინანდელ განცხადებას კვლავ ამოწმებს, და ფაბრის სიტყვებს სიცრუეს უწოდებს.

ჟორესი მოითხოვს საანკეტო კომისიის აღდგენას და დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მას სასამართლოს რწმუნებულება მიეცეს. 500 ხმით სამის წინააღმდეგ მისი წინადადება მიიღეს და ჟორეს ენიჭება „რესპუბლიკის უმაღლეს მოსამართლის“ როლი.

გალსტონ კალმეტას ოჯახობამ ქ-ნ კაიოს წინააღმდეგ სამოქალაქო საჩივარი აღძრა.

პოლონელ გლეხთა წარმომადგენლების კრება

ვარშავაში ამ ჟამად პოლონეთის სამიწათმოქმედო ცენტრალური საზოგადოების გლეხთა წრეების დელეგატთა მორიგი კრებაა. კრება პრაქტიკული ხასიათისაა, მაგრამ მაინც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

სამიწათმოქმედო ცენტრალური საზოგადოება — პოლონეთის ერთი დიდი ორგანიზაციათაგანია, მასა ჰყავს 1004 წრე, რომლებშიაც 54000 წევრია; მისი მოქმედების ფარგლებში 4552 სოფელი შედის. ამ საზოგადოებას აქვს თავისი კურსები, გაზეთები, საწყობები, ჰყავს ინსტრუქტორები და სხვ. ამ კრებას 617 წრის ანგარიში აქვს ხელთა. აქედან სჩანს, რომ 1913 წელს 2000 ცდა მოუხდენიათ მიწის გაპოხიერებისა, 1200 წევრს გლეხს მონაწილეობა მიუღია სამაგალითო მეურნების დასათვალიერებელ ექსკურსიებში. წრის წევრებს წელს 800ა გამოცემა ჰქონიათ გამოწერილი, იმათს კურსებზედ სხვადასხვა ადგილებში უსწავლიათ 762 ახალგაზდა გლეხს, დაბალი აგრონომიული განათლება წელს 100 კაცს დაუმთავრებია და სხვ. „რ.“

ჭიპურტები

„ახალი კლუბის“-ს კულუარებიდან დეპეშით გვატყობინებენ: რადგანაც თ-დ მიხეილ ჭავჭავაძეს ძალიან უნდა გაშავება, გადაუწყვეტია ყუთი დაიდგას კლუბის მამასახლისობაზეო“. ჩვენ ეს ხმები არა გვჯერა: გაშავება რომ სდომნოდა პირველადვე დაიდგამდა ყუთსა. **ჩვენ.**

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

12 მარტი.

უცხოეთი.

სტამბოლი. როგორც ალეპოდან იტყობინებიან, ბაღდადის რკინის გზის მუშებსა და გერმანელ მოსამსახურეებს შეტაკება მოსვლიათ. გერმანელებს სროლა აუტეხიათ, ერთი მუშა მოუკლავთ და რამოდენიმე დაუჭრიათ. მუშებს გაუფუჭებიათ უკვე დაგებული ლიანდაგი. ალეპოში გენერალ-გუბერნატორი გაემგზავრა ჯარით და ბევრი მუშა დაატუსაღა.

კაპენიკი. ოფიციალური ცნობებით რვა კაცი დაიხრჩო.

კრაკოვი. მემამულე ივანოვსკიმ კრაკოვის სამეცნიერო აკადემიას 120.000 კრონი შესწირა, რომ კრაკოვის უნივერსიტეტში შემოიღონ ლექციები უკრაინის შესახებ.

ბერლინი. ლანდტაგში კანონ-პროექტი შეიტანეს, რომლითაც 506 მილიონი მარკის სესხის აღება უნდათ ახალი რკინის გზებისათვის.

ვენა. ოფიციოზი „ნეიეს-ვინერ-ტაგებლატი“ ურჩევს საზოგადოებას და პრესას რუმინიის პოლიტიკურ ახალ მიმართულებას ბევრს ყურადღებას ნუ მიაქცევთო. გაზეთი ამბობს, ყურადღება მიაქციეთ რუმინიის საღ აზროვნების პრესას, რომელიც რუმინიის პოლიტიკის უცვლელობას ჰმოწმობსო.

აჯანყება ინგლისში.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სამინისტროს მომხრეებმა ისარგებლეს სამხედრო ბიუჯეტზე კამათით და მთავრობისა და ჯარის დამოკიდებულების საკითხი წამოაყენეს. მუშათა პარტიის წევრი უორდი აცხადებს: ეხლა უნდა გაირკვეს საკითხი, კანონებს ხალხი ადგენს, თუ მეფე და ჯარიო. ლიბერალი ბრკი ამბობს: აფიცრებს კი არა, ვგმობ იმ პირთ, რომელნიც ეს სამი წელიწადია სცდილობენ აფიცრობა თავის ინტრიგებში ჩაითრიონ. აქ რიღასთვის ვსხედვართ, თუ ერთი ბილლი სამჯერ უნდა გავგზავნოთ ლორდთა პალატაში, შემდეგ უკანასკნელად გადასაშინჯად კი გენერალებსა და აფიცრებს უნდა გადავცეთო! ლიბერალები ხალხს არწმუნებენ, გაფიცვების დროს მთავრობას უფლება აქვს ჯარი გამოიყვანოსო. ეხლა მთავრობამ გადასწყვიტა, რომ აფიცრებს შეუძლიანთ თავიანთი მოვალეობა უარჰყონ, გაიქცნენ ლონდონში და როდესაც მათთვის შესაფერი დრო იქნება უკანვე დაუბრუნდნენ ჯარსაო.

რეიტერის სააგენტო იუწყება: პოლიტიკურმა მდგომარეობამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო წუხელ. მდგომარეობა ოთხშაბათს უაღრესად გამწვავდა.

ბელფასტში კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე კაცი დაჭრილია. პოლიციამ წესიერება აღადგინა.

სამხედრო მინისტრი სილი სამსახურიდან გადადგა.

რუსეთი.

პეტროპავლოვსკი. ალაჩინინის მახლობელ სოფლებში ორი დღეა მიწა იძვრის.

ნოვოჩერკასკი. დილა ადრიან ათი შეიარაღებული კაცი დაეცა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას, სადაც 100,000 მ. ინახებოდა. პოლიციას აცნობეს. ყაჩაღები მიიმალნენ.

კრემენჩუგი. ორლოვის პოლკის საწყობი ცეცხლმა გადაჰბუგა. ზარალი 200,000 მ. უდრის.

ფრენა.

პეტერბურგი. პორუჩიკ პანკრატიევის ფრენის დროს ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ჰაეროდრომი მიწაზედ დასცა. აპარატი სულ დაიმსხვრა. საერთაშორის ფრენას—პეტერბურგში აპრილის გასულ და მოსკოვში მაისის დასაწყის-მოსკოვ-პეტერბურგის ფრენასა შეაერთებენ. საფოსტო უწყებამ მოლაპარაკება გამართა საიმპერატორო ჰაეროკლუბთან, რათა იკისროს მან ფოსტის გადატანა პეტერბურგიდან ახლო მდებარე ადგილებში.

საკანონმდებლო დაწესებულებებში.

პეტერბურგი. სამოქალაქო მოხელეთა პენსიების კომისიამ, მოხელეთა ოჯახების უფლება გააფართოვა. მოხელის ოჯახს ნება აქვს პენსია მიიღოს, თუ მოხელეს უმსახურია არა ნაკლებ ხუთის წლისა. უარჰყვეს პარაგრაფი, რომლითაც შვილობილებს პენსია არ უნდა მისცემოდა.

სარწმუნოებათა კომისიამ მიიღო კსენძი მაცეევიჩის შესწორება, რომლითაც 18 წლისას რჯულის გამოცვლის უფლებას ენიჭება.

სახელმწიფო სათათბიროში 18 მარტს შეიტანეს კანონ-პროექტი მოხელეთა პასუხისმგებლობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა იმ კანონ-პროექტის შემუშავებას, რომლის ძალით სასოფლო სამართველოს ხარჯის ნაწილი ხაზინამ უნდა იკისროს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 16 მარტს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა ნინო ჩხეიძის მონაწილეობით. პირველი ორ მოქმედებიანი დრამა „სოფლის ექიმი“ და ერთ მოქმედებიანი ტრაღი-კომედია „რომელია ორში?“ ვოდევილი ვ. აბაშიძის მონაწილეობით „ბებრის სალერღელი“ პიესებს რეჟისორობს მ. ქორელი. წარმოდგენა ჩვეულებრივ ფასებში იქნება დადგმული.

„სინათლის“ წარმოდგენა სახაზინო თეატრში. ორშაბათს, 17 მარტს სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება საზოგადოების თხოვნით მეხუთმეტედ „სინათლე“. ფასები ამ წარმოდგენაზე დაკლებული იქნება. ბილეთები უკვე დღეიდან იყიდება.

მოგზაურობა „სინათლით“ ვინაიდან პროვინციებიდან დაჟინებით თხოულობენ ქართ. დრამატ. საზოგადოების გამგეობისაგან „სინათლის“ წარმოდგენას, ამიტომ გამგეობა ორშაბათის წარმოდგენის შემდეგ გაემგზავრება პირდაპირ ბათომში, სადაც ორს ან სამს წარმოდგენას დასდგამს, იქიდან მობრუნდება ქუთაისში, სადაც გამართავს ერთს წარმოდგენას, ქუთაისიდან გაემგზავრება ბაქოში, სადაც გაიმართება ერთი ან ორი წარმოდგენა ადგილობრივი ქართველ ქალთა საზოგადოების სასარგებლოდ. ხოლო ბაქოდან უკან დაბრუნებისას განზრახულია ერთი წარმოდგენა განჯაშიაც გამართონ.

ქუთაისის თეატრი. შაბათს ქალაქის თეატრში დანიშნულია მსახიობის ხემოს ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება: „შლუკ და იაუ“.

ქუთაისის სცენის მოყვარეებს განზრახვა აქვთ რამდენიმე წარმოდგენა გამართონ ხონში.

წერილი რედ. მიმართ

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შუამდგომლობით ს. საგარეჯოში უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავი გაიხსნა ბ. ილია წინამძღვრიშვილის სახელობაზე. მივმართავ ყველას, ხალხის თანაგრძნობთ, წიგნების მცოდნეებს და გამომცემლებს ამერ-იმერეთისას და ვთხოვთ დახმარება აღმოუჩინონ ხსენებულ სამკითხველო-წიგნთსაცავს რითაც შეუძლიათ: ფულით, წიგნებით, სურათებით თუ სხვა. ყოველი შესაწირავი გაზეთებში გამოცხადდება.

ყოველი შემოწირულება უნდა მიიმართოს წიგნთსაცავ-სამკითხველოს პასუხისმგებელ ნიკ. ავალიშვილთან, ამ მისამართით: ტფილისი მატინოვის ქუჩა № 10. დროგამოშვებით გამოცემა კი (ჟურნალ-გაზეთები) პირდაპირ სამკითხველოში გაიგზავნოს სართიჭალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის საშუალებით, ს. საგარეჯოს.

ამასთანავე მადლობას მოვახსენებ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას და ბატონებს: იოსებ მერკვილაძეს, ალექსანდრე ჯაბადარს, თ. ივანე ავალიშვილს და ვარლამ ბურჯანაძეს,—პირველს ათი მანეთის წიგნების შემოწირვისათვის, მეორეს 13 მან. და 57 კაპეიკად ღირებულ 38 წიგნის შემოწირვისათვის, მესამეს 39 მან. და 10 კ-დ ღირებულ 39 წიგნის შემოწირვისათვის, მეოთხეს თავის ნათარგმნ-გამოცემულ წიგნის შემოწირვისათვის და მეხუთეს ფულად ერთი მანეთის შემოწირვისათვის.

წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის მინდობილობით ნიკ. ავალიშვილი.

შემოწირულობა

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად ქართ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შემოსწირეს კიდევ შემდეგმა პირებმა: ექ. მ. ა. იოსელიანმა, ერისთავისა-ძლიერისამ ტ. ზ., დგებუაძემ ა. ი., ჯუღელმა ს. ს., ნათიშვილმა ს. ფ., მირზაშვილისამ ნ. ა., ორჯონიკიძემ მ. ნ., ანტონოვსკისამ ე. კ., ცაგარლისამ ბ. გ., გიჟიმურელმა ა. კ., დ. ე. კალანდარიშვილმა, ა. გ. კოძიაშვილმა, ი. მ. კორინთელმა, ა. ხოშტარიამ, პ. ლ. მჭედლიშვილმა, შ. ამირეჯიბმა, გ. ი. ჯანდიერმა, რ. ჯანდიერმა, ი. გ. ციციშვილმა, ს. იაშვილმა, დ. დუმბაძემ, ექიმმა ბერიევმა, ნ. გოგიტიძემ, თ. ა. ლ. ჯორჯაძემ, გ. ა. ყარანგოზიშვილმა, გ. გ. საყვარელიძემ, ი. ქ. მამაცაშვილმა, ბ. ჯვარიშვილმა, ლ. ბოცვაძემ, ექ. გრ. მესხიმ, ნ. დეკანოზიშვილმა, გრ. ტყეშელაშვილმა, ა. კერესელიძემ, ვლ. თურქიამ და ი. ჯიშკარიანმა—**ხუთ-ხუთი მანეთი.** პეტ. ანტ. დაფქვიაშვილისამ, მ. პ. არჯევანიძემ, ა. გრიქოვანმა და ლ. ანტ. სტეპინსკიმ—**სამ-სამი მანეთი.** ი. ივანიშვილმა 2 მან., ნ. მამიტაშვილმა 1 მან. 50 კ., მახარაშვილმა, ნ. ა. გრაჩევმა, ს. ს. ღვთისავარომა და ი. ზავლევიჩმა—**თითო მანეთი.** ზ. გიორგიშვილმა, ჩულუხიძემ, ს. ზუბრილინმა, ა. იაშვილმა, ი. ალნიაშვილმა. მ. ლ. კავსაძემ, ვ. მ. გამყრელიძემ—**ათ-ათი** შაური და ა. როსტიაშვილმა 60 კ. სულ—205 მანეთი და 60 კაპ.

ათ-ათი მანეთი: ექ. ნ. ნ. ჯავახიშვილმა, ექ. შ. ა. მიქელაძემ, ი. ე. ზურაბიშვილმა, ექ. რ. გაბაშვილისამ, ა. მ. ციმაკურიძემ, ნ. გ. ჯავახიშვილმა, ი. გ. ქუთათელაძემ, პროფ. მელიქიშვილმა, ი. ზედგინიძემ, გ. ს. ქიქოძემ, თ-დ გ. პ. თუმანიშვილმა, ექ. ქ. ს. ვაშაკიძემ, შ. ზ. დედაბრიშვილმა, ექ. ა. დ. ციციშვილმა, ი. გ. რატიშვილმა, ი. ბ. ლორთქიფანიძემ, ა. ლ. ლორთქიფანიძემ, თ-დ მ. ნ. ვეზირიშვილმა, კ. ა. გარაყანიძემ, ირ. რამიშვილმა, დ. გ. არღუთინსკიმ, ი. ნ. რატიშვილმა, კ. გ. ქართველიშვილმა, კ. დ. ნასიძემ, ც. მიქელაძემ, ს. ქეთილაძემ, ლ. რ. კობახიძემ, ა. ემელიანოვმა, კ. დ. ყიფიანმა, თ-დ ა. ლ. მაღალაშვილმა, ვ. ს. და ღ. ყიფიანებმა. ექ. ლ. მ. საყვარელიძემ. სულ—320 მან.

ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდ თანხისათვის, რედაქციამ კიდევ მიიღო მ. ზედგინიძისაგან 5 მანეთი.

იმავე მ. ზედგინიძისაგან **არჩ. ჯორჯაძის ძეგლისათვის** რედაქციამ მიიღო 5 მანეთი.

რედაქტორი ნ. ქურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

ვარდის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711“.

Метилъ. 547912.

ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულჰენსისა.

ნაჭერი 25 კ.

1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, ჩქარი პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, სამგზ.-საბარგო ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, საფოსტო საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, სამგზავ. საღ. 6 ს. 29 წ., № 106 ნარევი მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამ. 1 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, საფ. დილ. 9 ს. 5 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, ჩქარი პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, სამგზ. ღამ. 10 ს. 30 წ., № 107, ნარევ. მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადამზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, სამ. დილ. 8 ს. 2 წ. № 19, სამგზავრ. ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: საფ. № 4/3, შუადღ. 12 ს. 00 წ.

ყარსისკენ: სამ. № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, საბარგ.-სამგზ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ. № 21, საბარ.-სამგზ. დილ. 10 ს. 28 წ., № 7 სამგ. მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, სანქარო—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 31 წ., № 106, ნარევ., მეოთხე კლ. ვაგონებით ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, სამგზ. დილ. 8 ს. 40 წ. № 12, სამგ. შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, სამგზ. საღ. 5 ს. 54 წ., № 4, საფ. საღ. 9 ს. 16 წ., № 106, ნარევი ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მეორე და მე-3 კლასის ვაგონით.

იყიდება

სახლი: ორი ქვითკირის ოთახი თავისი სამზარეულოთი, 90 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით მე-9 საპოლიციო ნაწილში, არდონის მისახვევი (დოლუხანოვის ადგილში). ფასი ხელმისაწვდენია.

მოლაპარაკება შეიძლება: მალაკნის ქუჩა მეპურის დუქანში, 42, **ფილიპე მასხაშვილთან.** 179

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგვილოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ბელიაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 მ. **ფომინა-ოხაპკინისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქ-ნ ლ. ქალანთარისა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 ა. მ. **ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 ნ. დ. **ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 გ. თ. **ხოთიაშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 ვ. ა. **მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები გვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების ზემოდევნაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ. წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერ. მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და ვალაკის მოედანზე.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბუბაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
შ. ა. ბ. ხანხუევი: 10—11 ს. სამშობიარო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი თ. გ. ტერ-დავიდოვისა: 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1071

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოლოვონის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ
მივიღეთ
ზაფხულის სეზონის ყოველნაირი
ფეხსაცმელი
პეტერბურგისა და ვარშავის მექანიკური საუკეთესო ფირმების ნაწარმოები. **ფასები საქარხნოა** აგრეთვე საკუთარი ნაწარმოები.
პატივისცემით **თომა ჯანყარაშვილი** მუხრანის ქ. № 2. 172.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა, ტელეფონი № 14—42.